საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2492 2019 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №527 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-2 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №5/63052 გადაწყვეტილება ქალაქ თეთრიწყაროში, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 15775.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №84.01.36.163) და ქალაქ თეთრიწყაროში, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (მწვანე ნარგავები, პარკები) არსებული 10693.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №84.01.37.173)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**